

#4 (25), აპრილი, 2009

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშევს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



ადამიანთა სიყვარული ყველაზე დიდი ხელოვნებაა

ეს სიტყვები დიდებულ მხატვარს ვინსენტ ვან გოგს ეკუთვნის... 30 მარტს, ვან გოგის დაბადების დღეს, მისივე სიტყვები ერთი აქციის დევიზი გახდა, სადაც ფერთა ოსტატი გაიხსენეს და ორგანიზატორებმა თავადაც უამრავი ფერებით მორთეს კედლები. „ვინსენტის დღე“ – ასე დაარქვეს აქციას ორგანიზატორებმა – სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და სოციალური თერაპიის სახლის ბენეფიციარებმა. მათ ვებერთელა ქალაქები გააკრეს კედლებზე და უამრავი ფერით და ფიგურებით მოხატეს იგი. აქციის ბოლოს შეინახეს, მის ცალკეულ ნამუშევრებად დაშლას და ახალი გამოფენის მოწყობას აპირებენ.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ადამიანთა სიყვარული ყველაზე დიდი ხელოვნებაა



(გაგრძელება)

მომავალი აქციის ორგანიზატორებიც კვლავ სტუდენტები და სოციალური თერაპიის სახლის ბენეფიციარები იქნებიან, უფრო მოკლედაც შეიძლება ითქვას – ორგანიზატორები მეგობრები იქნებიან. გამოფენის მოსამზადებელმა ეტაპმა, თავად გამოფენამ ისინი დაამეგობრა.

„ჩვენ სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტების ამ წინადადებაზე დიდად მოგვხიბლა“, აღნიშნა თავის დაწერილ სიტყვაში სოციალური თერაპიის სახლის ბენეფიციარმა კოტე ჭიჭინამძემ, რომელმაც გამოსვლა ვან გოგს მიუძღვნა. „ჩვენი სტუდენტების იდეამ ჩვენ აღგვაფრთოვანა და გვიბიძგა იმისაკენ, რათა ჩვენი მცირეოდენი ჯგუფის სახელით გამოვსულიყავი დღეს აქ... ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ამ უდიდესი მხატვრის სახელი კვლავ გაიუფერებს ჩვენში“, დასძინა მან.



3 აპრილს სოციალური თერაპიის სახლის ბენეფიციარებმა ახალი გამოფენა–გაყიდვა მოაწყვეს – სახლის სახელოსნოებში თექისგან დამზადებული ყელსაბამები, თმის სამაგრები, ცვილისა და პარაფინის სანთლები, ბლოკნოტები, ღია ბარათები, წიგნის სანიშნეები, გობელენები, ხის ნაკეთობები და უამრავი სხვა ლამაზი ნივთი გამოფინეს.



„სახლი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებს ემსახურება და სოციალური თერაპიის სახელოსნოებში ამ ულამაზეს ნივთებს სწორედ ისინი ქმნიან – მუშაობენ სახელოსნოებში, სადაც შრომის პროცესი ისეა აწყობილი, რომ თითოეული სრულფასოვან მონაწილეობას იღებს. წელიწადში რამდენჯერმე „სახლის“ ბენეფიციარები გამოფენა–გაყიდვას აწყობენ და თავისი ნამუშევრებით სტუმრებს ხიბლავენ.



საკონკურსო განაცხადი

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საკურორტო–სარეაბილიტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 15 აპრილი, 2009

წელი

<http://www.24saati.ge>

<http://www.civilin.org/welfare>

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტია გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა) ადრეული რეაბილიტაცია და პრევენცია.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 4 აპრილი, 2009 წელი

<http://www.24saati.ge>

<http://www.civilin.org/welfare>

3. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ჰუმანიტარული დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია: ჰემოფილიით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 4 აპრილი, 2009

წელი

<http://www.24saati.ge>

<http://www.civilin.org/welfare>

ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი



ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“ 2009 წლის დასაწყისიდან ახორციელებს. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გაეროს ბავშვთა ფონდის თანადაფინანსებით. მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. წვლილის შეტანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში მათი თვითშეფასების დონის ამაღლებითა და დისკრიმინაციის შემცირების გზით. პროექტის ფარგლებში ჩატარდება საინფორმაციო, სადისკუსიო შეხვედრები, ტრენინგები, გათვალისწინებულია შშმპ-თა უფლებების დაცვის კუთხით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შეუშავება. მომზადდება სოციალური კლიპები, ტელეგადაცემები. პროექტის მიზნების, უკვე განხორციელებული აქტივობებისა და ამ საკითხებზე დისკუსიის მიზნით, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეას“ ინიციატივით, 2 აპრილს, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, პროექტის პარტნიორების, დონორების, სახალხო დამცველის აპარატის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული პირები დაესწრნენ. ასოციაციის წარმომადგენლებმა დისკუსიის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია ზუგდიდში საგანმანათლებლო კუთხითა და შენობა-ნაგებობების მონიტორინგის მიზნით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. ანალოგიური სამუშაოების ჩატარება თბილისშიც იგეგმება. ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია "დეა" 1998 წელს დაფუძნდა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია

ადამიანის უფლებების დაცვა, განათლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ასოციაციამ 25-ზე მეტი პროექტი განახორციელა, გამოცემს გაზეთს, ეწევა იურიდიულ კონსულტაციას, ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს, შეიმუშავა ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის კონცეფცია, გამოსცა რამდენიმე სახელმძღვანელო ინკლუზიური განათლების შესახებ.

საკონკურსო განაცხადი

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტი: ვეტერანების ამბულატორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებით და სტაციონარული სამკურნალო-დიაგნოსტიკური დახმარებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ
 გაზეთი „24 საათი“, 4 აპრილი, 2009 წელი
<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ერთეულებზე ტენდერს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და საგანგებო სიტუაციების მართვა/მენეჯმენტში, სამინისტროს სისტემის, ჰოსპიტალური და პრეჰოსპიტალური სექტორის პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

შესყიდვის ობიექტი: გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და საგანგებო სიტუაციების მართვა/მენეჯმენტში, სამინისტროს სისტემის, ჰოსპიტალური და პრეჰოსპიტალური სექტორის პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების მომსახურება.

ინფორმაცია იხილეთ
 გაზეთი „24 საათი“, 4 აპრილი, 2009 წელი
<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე

ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი” პროექტის პარტნიორებთან ერთად აცხადებს კონკურსს: “10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე”.

კონკურსის მიზანია ბიძგი მისცეს მედიაკამპანიას ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ეთიკურად გასაშუქებლად, რაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის და დისკრიმინაციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

კონკურსი ჩატარდება 3 ნომინაციაში:

- ✓ საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო რადიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო სტატია

ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსის გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო.

კონკურსის პირობები:

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

სატელევიზიო სიუჟეტი - CD ან ვიდეო კასეტა სატელევიზიო არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

რადიო სიუჟეტი - CD რადიო-არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

სტატია – გაზეთი, ჟურნალი ან ვებ-გვერდის მისამართი, სადაც გამოქვეყნდა სტატია (უკიდურეს შემთხვევაში ნაბეჭდი ტექსტი მედია-გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით).

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2009 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი.

ნომებრში გამოვლინდება და დაჯილდოვდება 10 გამარჯვებული. კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმები დაეფუძნება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების არადისკრიმინაციული გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს: “მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები”.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც პროფესიონალ ჟურნალისტებს, ასევე სტუდენტებს.

კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ფონდის “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (გიფ)-თბილისის” ოფისში მისამართზე: თბილისი, ყიფშიძის ქ.49ა. ამავე მისამართზე სახელმძღვანელო პრინციპების მიღებაც იქნება შესაძლებელი.

საკონტაქტო პირი – ნინო აღდგომელაშვილი

ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 49ა

ტელ. 23 53 14, 21 40 08, 899 140008

ელ-ფოსტა: info-gip-tbilisi@gip-global.org; nagdgomelashvili@gip-global.org

ღონისძიება ტარდება პროექტის: “ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა” ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ: ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი”, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია “წდობა”, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, ასოციაცია “ანტი სტიგმა”, კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, კავშირი “თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისთვის” და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ